EU-GEORGIA BUSINESS COUNCIL

EU-Georgia Business Council
ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო

38-40, Kobuleti Street, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: +995 (32) 2 90 36 91 ● E-mail: secretariat@eugbc.net ● www.eugbc.net

3 აპრილი, 2020 წ.
1/ 105-2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ **ეკატერინე ტიკარაძეს**

ქალბატონო ეკატერინე,

პირველ რიგში მინდა მადლობა გადაგიხადოთ პირადად თქვენ და მთელ თქვენს გუნდს ასეთ რთულ ვითარებაში დაუღალავი შრომისა და ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში.

ამასთან გაცნობებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრს გავუგზავნეთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს წინადადებათა პაკეტი კორონავირუსიდან გამომდინარე **ეკონომიკური ზარალის მინიმალიზაციისა და ასევე ბიზნეს სექტორის მხარდამჭერი ღონისძიებების მიმართულებით. აღნიშნულ დოკუმენტში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მედიკამენტების გარდა საქართველოდან მედიკამენტების ექსპორტის დაშვებაა.**

როგორც მოგეხსენებათ **ფარმაცევრული წარმოებები საქართველოში პრაქტიკულად** 24 საათიან რეჟიმში მუშაობენ და მზად არიან შეუფერხებლად მიაწოდონ პროდუქცია როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებს. მედიკამენტების ექსპორტის შეჩერებამ კი **ფაქტიურად გაჩერების პირას მიიყვანა ბევრი წარმოება.**

გასათვალისწინებელია ისიც, რომ <u>**საექსპორტო მედიკამენტების დიდი უმრავლესობა არ გამოიყენება კორონავირუსის წინააღმდეგ, ხოლო ჩვენს მწარმოებლებს აქვთ გარკვეული ვალდებულებები უცხოელ სავაჭრო პარტნიორების მიმართ.**</u> *მაგლითისთვის მოვიყვანთ კონტრაქტს, თურქმენეთსა და ერთ-ერთ მწარმოებელს შორის, რომლის მიხედვითაც, მწარმოებელმა თურქმენეთს უნდა მიაწოდოს 200 000 კოლოფი კოკარბოქსილაზა 0.05 გ N5 ამპულა. იმპორტიორს თანხის ნაწილი ჩამორიცხული აქვს და ელოდება შესაბამისი პროდუქციის გადაზიდვას. ამ მედიკამენტის ექსპორტიც შეჩერებულია, მაშინ როცა ადგილობრივ ბაზარზე, ამ მედიკამენტის მოთხოვნა თვეში შეადგენს მაქსიმუმ 1000-1500 კოლოფს. მწარმოებელს, ჩვენი ქვეყნის საჭიროებისთვის დასაწყობებული აქვს 10 თვის მარაგი.*

<u>**ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს მხარდაჭერას, რათა სასწრაფოდ შემუშავდეს სია (ჩამონათვალი) და შესაბამისი კვოტები**</u>

38-40, Kobuleti Street, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: +995 (32) 2 90 36 91 ● E-mail: secretariat@eugbc.net ● www.eugbc.net

<u>სტრატეგიული მედიკამენტებისა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება სხვა დანარჩენი მედიკამენტების ექსპორტი.</u>

საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია გამოთქვამს მზადყოფნას ჩაერთოს სტრატეგიული მნიშვნელობის მედიკამენტების ჩამონათვალის და კვოტების შემუშავების საკითხში.

გთხოვთ დაავალოთ დარგის კურატორ მინისტრის მოადგილეს აღნიშნული საკითხის შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში მოგვარება.

პატივისცემით,

ზვიად ჭუმბურიძე, ელჩი
გენერალური მდივანი